

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

01 ნოემბერი 2018 წ.

თბილისი

№ 937/03

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ“ რექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს №597/03 ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობისა და ცვლილების შეტანის შესახებ

„უამღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე და 63-ე მუხლის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის და იორდანიის მოქალაქეების ზაიდ კჰალილ ატიეჰ ალომარის პირადი განცხადების (№1345165; 18/10/2018;) და მაჰერ მაჰმოუდ აეადაჰ ალაჯარმეჰის პირადი განცხადების (№1333609; 16/10/2018;) საფუძველზე რექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს №597/03 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ბათილად იქნას ცნობილი „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ“ რექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს №597/03 ბრძანების მე-2 პუნქტის პირველ ქვეპუნქტი, „1. მაჰერ მაჰმოუდ აეადაჰ ალაჯარმეჰ - იორდანიის ჰაშემიტური სამეფოს მოქალაქე;“
2. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ“ რექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს №597/03 ბრძანების მეხუთე პუნქტს დაემატოს მე-3-ე ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:
3. მაჰერ მაჰმოუდ აეადაჰ ალაჯარმეჰ - იორდანიის ჰაშემიტური სამეფოს მოქალაქე;“
3. ბათილად იქნას ცნობილი „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ“ რექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს №597/03 ბრძანების მე-4 პუნქტის მე-3-ე ქვეპუნქტი „ 3. ზაიდ კჰალილ ატიეჰ ალომარი - იორდანიის ჰაშემიტური სამეფოს მოქალაქე.“

4. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ” რექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს №597/03 ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს მე-14-ე ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„5. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:

14. ზაიდ კჰალილ ატიეჰ ალომარი - იორდანის ჰაშემიტური სამეფოს მოქალაქე.”.

5. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

6. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს ხ. თოდაძეს, თსსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის თ. კილასონიას, თსსუ-ს სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს ს. მღებრიშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსს თ. სტეფანიშვილს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ეკონომიკურ დეპარტამენტს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი